სამოქალაქო იდეა

დემოკრატიის ვირტუალური აკადემია

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

CAPS unlock CENTRAL ASIAN POLICY STUDIES

# შრომითი ექსპლუატაცია, როგორც „ჩინეთის ბიზნეს" პოლიტიკა

დეკემბერი
2023

| აღძრულია სიცხლის სამართლის საქმე | კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში | ჭუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის ფილიალი საქართველოში | ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი |
|---|---|---|---|
| მიმდინარეობს გამოძიება | ✓ | | |
| საქმე გადაცემულია სასამართლოში განსახილველად | | ✓ | ✓ |

*არასამთავრობო ორგანიზაცია Business & Human Rights Resource Centre-ის თანახმად, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის სავარაუდო დარღვევის 102 საქმეში, რომელიც 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, 39 ჩინური სამთო კომპანია იყო ჩართული.*

*„ჩვენი მონაცემები აჩვენებს, რომ წიაღისეულის მოძიების, მოპოვებისა და გადამუშავების პროცესში ხშირია ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი დარღვევები“, - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.*

*გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 49-ე სესიის ფარგლებში, 60-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელთა შორისაა ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), გამოქვეყნებულ ანგარიშში შეფასდა ლათინური ამერიკის 9 ქვეყანაში მიმდინარე 26 ჩინური პროექტი. კვლევის შედეგად აღმოჩენილ იქნა ჩინეთის მთავრობის მიერ ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის ტენდენცია.*

*ჩინეთის პროვინცია ჰენანის 40 წლის მკვიდრმა, რომელმაც უსაფრთხოების მიზნებისთვის მხოლოდ საკუთარი გვარი გაამჟღავნა, აღნიშნა, რომ დაცვა მას სულ კართან უყურებდა. როდესაც ნოემბერში კორონავირუსმა მთელი საცხოვრებელი მოიცვა და მას 102 გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაინც არ ჰქონდა ადგილის დატოვების უფლება.*

*ჩინეთმა აუცილებელია აღასრულოს მის მიერ ბავშვებთან მიმართებით დამკვიდრებული შრომითი სტანდარტები. ასევე საჭიროა ჩინეთმა დაიცვას ის საერთაშორისო შრომითი კონვენციები, რომელთაც მხარდაჭერა გამოუცხადა. ჩინეთის ვალდებულება გააუმჯობესოს შრომის სტანდარტები არ შეიძლება ძლიერი ეკონომიკური წნეხის ან საგარეო ბაზრის მოთხოვნების გამო უკანა პლანზე იწევდეს.*

# სარჩევი

**შესავალი** ..... 2

**გამოვლენილი დარღვევები და დაკისრებული პასუხისმგებლობა** ..... 5

სს ,,Hualing International Special Economic Zone'' (ს/ნ: 404934381) ..... 5

შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში'' (ს/ნ: 404859122) (Sinohydro Corporation Branch in Georgia) ..... 8

შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში'' (ს/ნ: 205368029) (Hunan Road & Bridge Construction Group Company Branch in Georgia) ..... 12

შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი" (ს/ნ: 404385385) (Constant Department of China Railway 23rd Bureau Group Co) ..... 18

შპს ,,საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ'' (ს/კ 412712079) (LLC Georgia Shunxiang Wood Processing Company Kutaisi Fiz) ..... 22

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია საქართველოს ფილიალი (ს/კ 426539178) (China State Construction Engineering Corporation Limited Georgia Branch); ..... 23

,,უსფ ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი'' (ს/კ 205368396) (China Road and Bridge Corporations branch in Georgia); ..... 25

,,უსფ გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო'' (ს/კ 405373750) (Guizhou Highway Enguneering Group Co) ..... 26

**დასკვნა** ..... 28

**დანართი 1 (ინდივიდუალური ისტორიები)** ..... 29

სს ,,Hualing International Special Economic Zone'' (ს/ნ: 404934381) ..... 29

შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში'' (ს/კ 404859122); ..... 29

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში (ს/ნ: 205368029) ..... 30

შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი" (ს/ნ: 404385385) ..... 30

**დანართი 2 (ხშირად გამოყენებული მუხლები საქართველოს შრომის კოდექსიდან)** 30

**წყაროები** ..... 30

# შესავალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდი, არაკონტროლირებადი და დაუბალანსებელი გავლენები სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ქვეყნის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამოქალაქო იდეა'' უკვე ექვსი წელია იკვლევს და მონიტორინგს უწევს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მასთან დაკავშირებული იურიდიული პირების საქმიანობას.

მოცემული კვლევის ფარგლებში, ჩინეთის კომპანიების მონიტორინგის მიზანი საქართველოში მათი შრომით-სამართლებრივი მოქმედებების ტენდენციების გამოკვეთა და მათ შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ იდენტიფიცირებული დარღვევების ილუსტრირება და მათ შესახებ საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირება, ხელს შეუწობს ახალი პოტენციური დარღვევების თავიდან არიდებას და პრევენციულ როლს შეასრულებს.

სამწუხაროდ, საქართველოში შრომითი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ ჩინეთის კომპანიებს არ უკავშირდება და ამ თვალსაზრისით, გამოწვევად რჩება საკანონმდებლო ბაზა, აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები, დამოუკიდებელი სასამართლო და სხვა, რომელთა ანალიზიც სცდება წარმოდგენილი კვლევის მიზნებს. თუმცა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიების შემთხვევაში, საქართველოში ეროვნულ დონეზე არსებულ პრობლემებს, ემატება მათი სპეციფიური დამოკიდებულება სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისადმი.[1] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაზარზე უმსხვილეს და განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სადაც განსაკუთრებით მაღალია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაარსებული და მოქმედი კომპანიები ახორციელებენ.

[1]Africanews-ის 2023 წლის 06 ივლისის სტატია: ,,ჩინეთის სამთო კომპანიებს ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ''
ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაცია (International Federation for Human Rights) 2022 წლის 23 მარტის ანგარიში: ,,ახალი ანგარიშის მიხედვით ლათინურ ამერიკაში ჩინეთის ბიზნესების საქმიანობისას აღმოჩენილია ადამიანის უფლებათა დარღვევები''
CNN Business-ის 2020 წლის 21 ივლისის სტატია: ,, სინძიანში ადამიანის უფლებების დარღვევების გამო აშშ 11 ჩინურ კომპანიას ასანქცირებს''
Washington Post-ის 2021 წლის 30 აპრილის სტატია: ,,ჩინელი მუშები ,,ერთი სარტყელი-ერთი გზის'' ინიციატივას იძულებით შრომასა და არასწორ მოპყრობაში ამხელენ.''
Dana C. Nicholas-ის 01 დეკემბრის ანგარიში: ,, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან შრომითი უფლებების აღსრულების კრიზისი: საერთაშორისო ინტერვენცია და კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა''

წინამდებარე კვლევაში ასახულია **შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში ჩინეთის რვა კომპანიის საქმიანობა საქართველოში**.[2]

დოკუმენტი ეყრდნობა სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინსპექტირებების შედეგებსა და დასკვნებს, ჩვენს მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგისა და დაზარალებულებთან მრავლობითი ინტერვიუების შედეგად გამოვლენილ დარღვევებს. აქვე მადლობა გვინდა გადავუხადოთ შრომის ინპექციას, რომელიც ბევრი სხვა სახელმწიფო დაწესებულებისგან განსხვავებით თანამშრომლობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის მაღალ სტანდარტს იყენებს, რაც ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია.

ჩვენი კვლევის ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგები საქართველოში რეგისტრირებულ იმ რვა კომპანიაში, რომელთა დირექტორი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გახლდათ ან სადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ან მისი კერძო პირის პირდაპირი ინვესტიციაა განხორციელებული და სადაც „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელები *(გაფრთხილება, ჯარიმა, სამუშაო პროცესის შეჩერება)* იყო გამოყენებული.

საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომის ინსპექციის მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა 2,510 ინსპექტირება, *მათ შორის, საჩივრის საფუძველზე 42, უბედური შემთხვევის საფუძველით 192, ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება 161 ობიექტს შეეხო*.

[2] კვლევის მიზნებისთვის, ჩინეთის კომპანიაა საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, რომელთა დირექტორი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე. ასევე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული კომპანია, რომელსაც საქართველოში აქვს რეგისტრირებული ფილიალი.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲐ:

- **შპს[3] ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის ფილიალი საქართველოში** (ს/კ 205368029);
- **ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი** (ს/კ 426539178);
- **შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივმოქმედი ფილიალი** (ს/კ 404385385);
- **გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო** (ს/კ 405373750);
- **ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი** (ს/კ 205368396);
- **სს[4] Hualing international special economic zone (ს/კ** 404934381);
- **შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში** (ს/კ 404859122);
- **შპს საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ** (ს/კ412712079).

[3] შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
[4] სააქციო საზოგადოება

| საავტომობილო გზის მონაკვეთი | ხელშეკრულების ნომერი | კონტრაქტორი კომპანია |
|---|---|---|
| E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიური - ჩუმათელეთის კმ7+700 - კმ14+060 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II) | EWHCIPCW/RFB-01 | Sinohydro Corporation Limited |
| E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელეთი - ხევის მონაკვეთის მშენებლობა | EWHCIP-AF/CW/ICB-01 | China State Construction Engineering Corporation Limited |
| E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ხევი - უბისას მონაკვეთის მშენებლობა | KURP/CW/OCB-01 | Hunan Road & Bridge Construction Group Co., Ltd |
| E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის უბისა - შორაპანის მონაკვეთის მშენებლობა | GTC/CW/ICB-02 | China Road and Bridge Corporation |
| E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი - არგვეთას მონაკვეთის მშენებლობა | SARP/CW/OCB-01 | JV Guizhou Highway Engineering Group Co., Ltd and China National Technical Import & Export Corporation |
| ქვეშეთი - კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი I) | KKRP/CW/CP-01R | China Railway Tunnel Group Co., Ltd |
| ქვეშეთი - კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II) | KKRP/CW/CP-02 | China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd |
| სამტრედია - გრიგოლეთის გზის კმ30+000 - კმ42+000 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი III) | EWHG/CW/ICB-03/01 | Hunan Road & Bridge Construction Group Co., Ltd |
| ბაკურციხე-წნორის გზის მშენებლობა | BBRP/CW/ICB-01 | China Road and Bridge Corporation |
| თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის ვაზიანი-საგარეჯოს კმ4+040 - კმ27+840 მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა | GOG/CW/RFB-01 Lot 1 | China Road and Bridge Corporation |
| ბათუმი (ანგისა) – ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის ლოტი I-ის (ხულო - გოდერძის უღელტეხილი, კმ5+195 – კმ29+732) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია | BARP/CW/ICB-01 Lot I | Sinohydro Corporation Limited |
| ბათუმი (ანგისა) – ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის ლოტი II-ის (გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა, კმ 0+000 - კმ 17+380) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია | BARP/CW/ICB-01 Lot II | Sinohydro Corporation Limited |
| საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ35 - კმ43.6 და კმ47.2 - კმ48 მონაკვეთების რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-11 Lot 1 | China Road and Bridge Corporation |
| საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ54.0 - კმ67.7 მონაკვეთის რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-11 Lot 2 | China Road and Bridge Corporation |
| ჩოხატაური - ბახმაროს საავტომობილო გზის კმ15.9 - კმ21.4 და კმ22.5 - კმ24.5 მონაკვეთების რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-11 Lot 3 | China Road and Bridge Corporation |
| ჩოხატაური - ზომლეთის საავტომობილო გზის კმ3.5 - კმ13.8 მონაკვეთის რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-12 Lot 1 | China Road and Bridge Corporation |
| საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ17 - კმ19.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-12 Lot 2 | China Road and Bridge Corporation |
| ოზურგეთი - ნატანები - ურეკის საავტომობილო გზის კმ 0.0 - კმ 2.8 მონაკვეთის რეაბილიტაცია | SRAMP/CW/NCB-12 Lot 3 | China Road and Bridge Corporation |

| | Hualing International Special Economic Zone | კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში | ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში | ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი | საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ | ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია საქართველოს ფილიალი | უსფ ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი | უსფ გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინვესტიციების დაფარვა | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | | | |
| ეროვნული ეკონომიკური ზონების | | | | | | | | |
| ბენეფიციარების | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | | | |
| ინფრასტრუქტურული | | | | | | | | |
| ინვესტიციების | | | | | | | | |
| ინფორმაციის | | | | | | | | |
| ინფორმაციის | | | | | | | | |
| ინფორმაციის

## სს ,,Hualing International Special Economic Zone'' (ს/ნ: 404934381)[5]

სს ,,Hualing International Special Economic Zone'' *(შემდგომში ჰუალინგი)* საქართველოს ბაზარზე 2012 წლის 15 მარტიდან ოპერირებს. კომპანია, ჩინეთის სახალხო რეს-პუბლიკასთან აფილირებულ კომპანიებს შორის, ერთმნიშვნელოვნად ყველაზე დიდი ინვესტორია. საქართველოში მოქმედი დიდი კომპანიების უმრავლესობა, განსხვავებით ჰუალინგისგან, ძირითადად სხვადასხვა კონტრაქტებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ოპერირებს. ჰუალინგის საინვესტიციო კაპიტალი 500 მლნ აშშ დოლარია და ბაზარზე დასაქმებულთა რაოდენობა 3000-ს ადამიანს აღემატება.

კომპანიის საქმიანობის სფერო მრავალმხრივია და მოიცავს როგორც საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსების, ფიტნეს კლუბებისა და სასტუმროების მშენ-ებლობა-მენეჯმენტს, ისე დეველოპერული პროექტების განხორციელებას, სავაჭრო ცენტრებისა და საბითუმო მარკეტების მშენებლობას, გაქირავებას და მართვას.[6] სწორედ ჰუალინგის მეშვეობით განხორციელდა ან ხორციელდება ისეთი მნიშვნელ-ოვანი და უმსხვილესი პროექტები, როგორიცაა თბილისის ზღვის ახალი ქალაქი, თბილისის ზღვის პლაზა[7], ჰუალინგის სასტუმრო ქუთაისში, ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა[8] და სხვა.[9]

ჰუალინგში შრომის ინსპექტირება 2022 წლის 08 აგვისტოს განხორციელდა, რის შედეგადაც აღმოაჩინეს შემდეგი დარღვევები:

**სამუშაო და დასვენების დროების განსაზღვრასთან დაკავ-შირებული დარღვევები** - კომპანიაში არსებულ შრომით ხელშეკრულებებში არასრულყოფილად იყო ან საერთოდ არ იყო განსაზვრული დასაქმებულთა სამუშაო და დასვენების პერიოდები. რიგ შემთხვევებში იყო წინააღმდეგობა შრომით ხელშეკრულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის იმ ჩანაწერებს შორის, რომელიც ასევე განსაზღვრავდა სამუშაო და დასვენების დროებს.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა სამუშაო და დასვენების დროის განსაზღვრა.*

[5] აღნიშნული კომპანიის საქართველოს მედიაში გავლენების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სამოქალაქო იდეას კვლევაში:
https://civicidea.ge/en/civic-ideas-report-chinas-wolf-warrior-policy-in-the-media-the-case-of-georgia/new/
[6] იხილეთ, https://www.bia.ge/en/Company/13387
[7] იხილეთ კომპანიის Facebook-ის გვერდი
[8] იხილეთ, https://hualing-kutaisi-free-industrial.business.site/
[9] იხილეთ, http://www.hualing.ge/

**სამუშაო დროის არასრულყოფილი აღრიცხვა** - დამსაქმებლის მიერ არასრულყოფილად იყო წარმოებული სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი. კერძოდ, შეუძლებელია ორგანიზაციის/ დაწესებულების იდენთიფიცირება, ისევე როგორც საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღების, ღამით ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობის, უქმე/დასვენების დღეებში ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობის, დასვენების/უქმე დღეების ჯამური რაოდენობის დაანგარიშება. არადა, სწორედ ამგვარი ინფორმაციის სრულყოფილება იძლევა საშუალებას დასაქმებულმა მიიღოს შესაბამისი სარგებელი, რომელიც კანონმდებლობით ზეგანაკვეთური სამუშობის შესრულებისთვის არის სპეციფიურად გათვალისწინებული.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

*დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.*

**ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება კანონიერი საფუძვლის გარეშე** - აღნიშნულ კომპანიაში არსებული რიგი შრომითი ხელშეკრულებები ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ვალდებულებას ითვალისწინებდა შრომის კოდექსით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა სხვა მიზეზებითაც, როგორიცაა სამუშაო რეჟიმის აუცილებლობა/საწარმოს საჭიროება და გაუთვალისწინებელი/შემთხვევითი შეფერხების მიზეზით დღის განმავლობაში დაუმთავრებელი სამუშაო.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი

*საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომელიც აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს წარმოადგენს ზეგანაკვეთურ სამუშაოს. მისი შესრულების ვალდებულება კი დასაქმებულს აქვს სტიქიური უბედურების თავიდან ასარიდებლად/მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის ან საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილ-ებლად/მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის.*

**ზეგანაკვეთური სამუშაოს არასრულფასოვნად ანაზღაურება** - შრომითი ხელშეკრულებები შრომის კოდექსით გათვალისწინებული საათობრივი განაკვეთის ნაცვლად ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური სამუშაოს ფიქსირებული ოდენობით ანაზღაურებას. აქვე ვლინდება, კომპანიის მიერ როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეს ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათების არასრულად ანაზღაურების შემთხვევებიც.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე პუნქტი

*ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.*

**შვებულების უსაფუძვლო შეწყვეტა** - დამსაქმებლის მიერ წარ-მოდგენილი შინაგანაწესი ითვალისწინებდა დამსაქმებ-ლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და არა მხარეთა შეთანხმებით შვებულების შეწყვეტის და ასეთ დროს გამო-უყენებელი შვებულების დღეების გადავადება/ანაზღაურ-ებას შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი

*შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შრომის კოდექსით შვებულების მუხლით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვადები და პირობები. ეს ვადები და პირობები არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.*

**დამსაქმებლისთვის ზიანის ანაზღაურება გადაჭარბებული ოდენობით** - დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი შინა-განაწესი ითვალისწინებდა შრომითი ურთიერთობის შეწყვე-ტისას საბოლოო ანგარიშსწორებისას დასაქმებულის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის სრული ოდენობით გამოქვითვის უფლებას და არა 50 პროცენტის, როგორც შრომის კოდექსით არის დადგენილი.

საქართველოს შრომის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე პუნქტი

ყველა ზემოთ აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად/მითითებების შესასრულ-ებლად სააქციო საზოგადოებას მიეცა 30 კალენდარული დღე. კომპანიის განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში კი დადგინდა, რომ:

კვლავ დარღვეულია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. სს ,,Hualing International Special Economic Zone''-მა არ შეასრულა 2022 წლის 21 სექტემბრის მითით-ებებში არსებული ვალდებულება ზეგანაკვეთური სამუშაო აენაზღაურებინა ყველა იმ დასაქმებულისთვის, რომელთან მიმართებითაც შრომის ინსპექციამ დაადგინა დარ-ღვევა.

ასევე, ფიქსირდება პირველი ინსპექტირების შემდგომ დამატებით კვლავ განხორ-ციელებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ფაქტები, რომელიც კომპანიას ძველის მსგავსად არ აუნაზღაურებია.

**განმეორებითი ინსპექტირების შედეგად** სს ,,Hualing International Special Economic Zone'' დაჯარიმდა **600 ლარის** ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ისეთი მსხვილი კომპანიისთვის, როგორიცაა სს ,,Hualing International Special Economic Zone'' ზემოაღნიშნული ჯარიმის ოდენობა არ წარმოადგენს რეალურ ფინანსურ ტვირთს იმისათვის, რომ ინსპექტირებისას აღმოჩენილი დარ-ღვევები გამოასწოროს. როგორც უკვე ვახსენეთ, ჰუალინგ ჯგუფი მოიცავს მრავალ მაღალშემოსავლიან კომპანიას და ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს უამრავ მაღალ-ბიუჯეტურ პროექტს. სწორედ ამიტომ, 600 ლარის მოცულობით პასუხისმგებლობის

დაკისრება, მითუმეტეს განმეორებითი ინსპექტირების შემთხვევაში, როცა უკვე მიეცათ გაფრთხილება და დამატებითი დრო დარღვევების გამოსასწორებლად, საკმაოდ სიმბოლურია და ქმედითი ცვლილებების მომტანი ვერ იქნება.

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, თუ რამდენად დიდია ასეთი ტიპის დარღვევებისას თითოეული დასაქმებულის მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური ზიანი, ან ზიანი რომელიც მათ ჯანმრთელობას ადგება. შეუძლებელია ამ რაოდენობის და ხასიათის შრომის უფლებების დარღვევებისას 600 ლარის ოდენობის ჯარიმა იყოს პროპორციული ზომა.

## შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში'' (ს/ნ: 404859122) (Sinohydro Corporation Branch in Georgia) [10]

საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო გზების მშენებლობას არაერთი ჩინური წარმოშობის კომპანია ახორციელებს.[11] თუმცა, მოცემული კვლევის ფარგლებში მიმოხილულია მხოლოდ ისინი, რომელზეც მონიტორინგის ფარგლებში ინსპექტირება განხორციელდა.

შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში'' ბაზარზე 2010 წლის 08 აპრილიდან ოპერირებს. მისი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება როგორც გზების პროექტირება, მშენებლობა და რეაბილიტაცია, ასევე, ხიდების მშენებელობა, შეკეთება და ტექმომსახურება.[12] აქვე საყურადღებოა ისიც, რომ სატრანსპორტო გზების სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის მას მიენიჭა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების უფლებამოსილება, ლიცენზიის მოპოვების ვალდებულების გარეშე.[13]

მოცემული კომპანია მთავრობის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრაქტორია საქართველოში, რეალურად სპეციალიზდება ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე, თუმცა, საქართველოში ავტობანების მშენებლობითაა დაკავებული. კომპანია სინოჰიდროს საქმიანობა საქართველოში პრაქტიკულად სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსება, სხვადასხვა საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში. მის პროექტებს განეკუთვნება:

- ✓ ქობულეთის შემოვლითი გზის 12.4 კილომეტრიანი მონაკვეთი;
- ✓ თბილისი-რუსთავის მონაკვეთის პირველი და მესამე სექციის მშენებლობა;

[10] კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კვლევების სანახავად, შეგიძლიათ ეწვიოთ: https://civicidea.ge/en/civic-ideas-third-china-watch-report-covers-the-controversies-over-sinohydro-china-railway-23rd-bureau-group-co/new/

[11] იხ. დანართი 2 (ცხრილი)

[12] იხილეთ, https://www.bia.ge/company/6555

[13] იხილეთ, 2013 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულება №2138. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2197138?publication=0

- ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაო ზემო-ოსიაური-ჩუმათელეთის 5.8 კილომეტრიანი მონაკვეთი;
- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის 19.5 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა.[14]

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშისგან დამოუკიდებელად, ცალკე კვლევის ფარგლებში ,,სამოქალაქო იდეას'' შესწავლილი აქვს შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში''. შესაბამისად, დეტალური ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ანგარიში: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიები საქართველოში/მონიტორინგის ანგარიში N3 (სინოჰიდრო & ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო საქართველოში).[15]

2022 წლის 1 ივლისს, შრომის ინსპექციის მიერ სინოჰიდროს შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

| | |
|---|---|
| **ბუნდოვანი სამუშაო გრაფიკი** - კომპანიის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში დეტალურად არ არის მითითებული ისეთი პირობები როგორიცაა სამუშაო საათები, სამუშაო დღეები და დასვენების დღეები. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი<br><br>*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა სამუშაო და დასვენების დროის განსაზღვრა.* |
| **განუსაზღვრელი სამუშაო მოცულობა** - კომპანიის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი შესასრულებელი სამუშაოს სახე და აღწერილობა. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი<br><br>*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა თანამდებობის (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახის ან აღწერილობის განსაზღვრა.* |
| **სამუშაო დროის არასრულყოფილი აღრიცხვა** - დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არ შეიცავს ყველა იმ აუცილებელ მონაცემს, რაც მინისტრის ბრძანებითაა სავალდებულოდ აღსაღრიცხავი. | საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი<br><br>*„სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.* |

[14] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/5-georgian-entrepreneurs-launch-a-new-app-in-the-uk/72001

[15] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიები საქართველოში/მონიტორინგის ანგარიში N3 (სინოჰიდრო & ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო საქართველოში)

**ზეგანაკვეთური სამუშაოს არასრულყოფილი ანაზღაურება** - დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასაქმებულის მიერ უქმე დღეს მუშაობა არ არის მიჩნეული ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და არ არის ანაზღაურებული ან ანაზღაურებულია სტანდარტული ტარიფით.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე პუნქტი

*ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.*

**გამოუყენებელი შვებულების უფლება -** დასაქმებულებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ არ აქვთ ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება. დამსაქმებლისგან გამოთხოვილი ინფორმაციით დასაქმებულებს გამოკვლეულ პერიოდებში არ უსარგებლიათ ანაზღაურებადი შვებულების უფლებით, რაც ბუნებრივია შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლი

**შრომისუუნარობის დახმარების არასრულყოფილი ანაზღაურება** - კომპანიის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულს დროებითი შრომისუუნარობის დახმარება გაეცემა არაუმეტეს 40 კალენდარულ დღემდე ვადით, მაშინ როცა რეალურად საქართველოს შრომის კოდექსით დროებითი შრომისუუნარობის დახმარება გაიცემა ან ზედიზედ 40 კალენდარულ დღემდე ვადით ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადით 60 კალენდარულ დღეზე (იმ სრულ პერიოდზე სანამ საქართველოს შრომის კოდექსით დროებითი შრომისუუნარობის გამო მხოლოდ ხელშეკრულების შეჩერების საფუძველი არსებობს).

საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების შეჩერების პირობებში შრომის ანაზღაურების გაცემის წესი*

კომპანიას ყველა დარღვევის გამოსასწორებლად/მითითებების შესასრულებლად სააქციო საზოგადოებას მიეცა 30 კალენდარული დღე.

**განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დგინდება:**

განმეორებადი შემოწმების დროს დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა, რომ სამუშაო აღრიცხვის ფორმა გააცნო ყველა დასაქმებულს, ამასთან, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დასაქმებულის რეჟიმი არ შეესაბამებოდა აღრიცხვის ფორმაში მითითებულ მონაცემებს.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში დაჯარიმდა **600 ლარის** ოდენობით.




**წყარო: ,,ფორმულას'' რეპორტაჟი**

აღსანიშნავია, ის, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალს საქართველოში'' 2021 წელს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაშიც იყო მხილებული, რამაც გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. სწორედ, მედიის დახმარებით გახდა ცნობილი ისიც, რომ ინციდენტს თან მოჰყვა საპროტესტო აქციები შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმ-ჯობესების მოთხოვნით.[16] მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინის-ტრომ დაიწყო გამოძიება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის მუხლით.[17] საყურადღებოა, ის, რომ შრომის უსაფრთხოების წესის დარღვევასა და ადამიანის გარდაცვალებას ადგილი ჰქონდა 2021 წელს, სწორედ, ამ დროისთვის დაიწყეს შესაბამისმა ორგანოებმა რეაგირება, თუმცა, დღეს, 2023 წლის მდგომარეობით ჯერ კიდევ საქმე სასამართლოს არ გადასცემია და გამოძიების ეტაპზეა.

[16] https://netgazeti.ge/news/582887/
[17] იხილეთ, https://reginfo.ge/people/item/24672-suramshi-avtomagistralis-msheneblobaze-33-xlis-musha-daigupa ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია.

## შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში'' (ს/ნ: 205368029) (Hunan Road & Bridge Construction Group Company Branch in Georgia)[18]

შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში'' საქართველოს ბაზარზე 2019 წლის 10 მაისიდან ოპერირებს. [19] იგი E-60 მაგისტრალის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის ხევი-უბისას სექციის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.[20]

ამ ანგარიშისგან დამოუკიდებლად, სხვა კვლევის ფარგლებში ,,სამოქალაქო იდეამ'' შეისწავლა აღნიშნული კომპანიის საქმიანობაც. დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ანგარიში: ,, China Watch ანგარიში 12 Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd საქართველოში''.[21]

2022 წლის 08 აგვისტოს, შრომის ინსპექციის მიერ მოცემული კომპანიის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ვერც ამ კომპანიამ დააკმაყოფილა შრომითი ნორმების მინიმალური სტანდარტი და ზემოთ უკვე განხილული კომპანიების მსგავსი დარღვევები გამოვლინდა:

| | |
|---|---|
| **ბუნდოვანი სამუშაო გრაფიკი** შეუსაბამოა ჩვენი კანონმდებლობის მოთხოვნებთან - დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში დეტალურად არ არის ასახული სამუშაო და დასვენების პერიოდი. რიგ შემთხვევებში არაა დაკონკრეტებული დასვენების დღეები ან ცვლის ხანგრძლივობა. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი |
| **სამუშაოს განუსაზღვრელი მოცულობა,** შრომით ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, სახე და აღწერილობა. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა უნდა იყოს თანამდებობის (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახის ან აღწერილობის განსაზღვრა. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი |

[18] კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კვლევების სანახავად, შეგიძლიათ ეწვიოთ: https://civicidea.ge/en/china-watch-report-12-hunan-road-and-bridge-construction-group-co-ltd-in-georgia/new/

[19] იხილეთ, მეწარმეთა შესახებ რეესტრის ამონაწერი https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFFXkwKzksG[RUwQJIXsXB6pvHMxB3kXPAQ62BcPaKH3u

[20] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen--gancxadeba/65887/

[21] China Watch ანგარიში 12 Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd საქართველოში

**ანაზღაურების დადგენა დასაქმებულის თანხმობის გარეშე** - კომპანიის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით დასაქმებულების მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურების დღიური თუ საათობრივი წესი გაწერილია დანართ 1-ში, რომელიც, მართალია, წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მაგრამ რიგ შემთხვევებში ფიქსირდება, რომ არ არის ორმხრივად ხელმოწერილი.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა შრომის ანაზღაურების (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესის განსაზღვრა.*

**ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ბუნდოვანი წესი** - კომპანიის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არსებული ჩანაწერის მიხედვით უქმე დღეს შესრულებული სამუშაო ითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და ასევე ანაზღაურდება გაზრდილი ტარიფით, თუმცა, არსად არის დაკონკრეტებული მისი ოდენობა. ამასობაში, კანონი იმპერატიულად მოითხოვს შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრას.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი

**შვებულების დღეების დაუდგენელი ოდენობა** - დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი არაა ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მისი გაცემის წესი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანია ეწევა გზებისა და ავტობანების მშენებლობას, რაც წარმოადგენს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოს. ეს გარემოება ხელშეკრულებებში დამატებითი ვალდებულებების განსაზღვრას იწვევს. შესაბამისად, რიგი დასაქმებულების შემთხვევაში, როცა შესასრულებელი საქმე მსგავსი ტიპისაა, აუცილებელია აღნიშნულმა კომპანიამ ასევე განსაზღვროს დამატებით 10 დღიანი ანაზღაურებადი შვებულების გაცემის ვალდებულება.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობის, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობის და ამ შვებულებების მიცემის წესის განსაზღვრა.*

**ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ხარვეზები** - კომპანიის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში გაწერილი არაა ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ისევე როგორც გაფრთხილებისა და კომპენსაციის გაცემის ვალდებულება. ამასობაში კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესის განსაზღვრას.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა - დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესის განსაზღვრა.*

**გადაჭარბებული დროით სამუშაოს შესრულება -** კომპანიის მიერ წარმოდგენილი დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვის ინდივიდუალური ტაბელების მიხედვით, დასაქმებულების უმრავლესობა მუშაობს გადაბმულად, 7 დღიან პერიოდში უწყვეტი არანაკლებ 24 საათიანი გრაფიკით, დასვენების გარეშე, მაშინ, როდესაც საქართველოს შრომის კოდექსი ცალსახად ადგენს და მოითხოვს საპირისპიროს.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტი

**სამუშაო დროის არასრულყოფილი აღრიცხვა** - შრომის ინსპექციისთვის წარდგენილი სამუშაო აღრიცხვის ფორმა, რომელსაც დამსაქმებელი თითოეული დასაქმებულის შემთხვევაში ინდივიდულად აწარმოებს, არასრულყოფილია და არ შეიცავს ყველა იმ მონაცემს, რაც ბრძანებით სავალდებულოდაა დადგენილი. მაგალითად, როგორიცაა საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღები, თვის განმავლობაში საათების ჯამური რაოდენობა, საიდენტიფიკაციო ნომერი და სხვა.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

*დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.*

**სამუშაო დღის ხანგრძლივობის გადაჭარბება** - კომპანიის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების ჩანაწერის მიხედვით დღეში 8 საათზე მეტი დროით მუშაობა წარმოადგენს ზეგანაკვეთურ სამუშაოს და ამავდროულად იმავე ხელშეკრულების სხვა ჩანაწერები ადგენენ 9 საათიან სამუშაო გრაფიკს. ეს ნიშნავს, რომ დამსაქმებელი ნორმად აქცევს ზეგანაკვეთურ სამუშაოს, მაშინ როცა შრომის კოდექსი ამ უკანასკნელთან მიმართებით სხვა პრინციპებს განსაზღვრავს.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლი მე-2 პუნქტი;
23-ე მუხლის მე-6 პუნქტი

*ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს; ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ამ კანონს, ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას ან კოლექტიურ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.*

**სამუშაო დროის არასრულყოფილი აღრიცხვა და ანაზღაურება -** სრულყოფილად არაა აღრიცხული დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი საათები, განსაკუთრებით ზეგანაკვეთური სამუშაო და შესაბამისად, ხშირ შემთხვევებში, სრულად არ ხდება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, კანონით ცალსახად დადგენილია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს და თავისთავად, ანაზღაურების სავალდებულოობა.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი

**შვებულების უსაფუძვლო შეწყვეტა** - დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთათვის შვებულების გაცემის პრაქტიკა აუარესებს კოდექსით გათვალისწინებულ თანამშრომელთა უფლებებს, რადგან შვებულებიდან გამოძახება ხდება დაუსაბუთებლად. ასეთ დროს ნამუშევარი დღეები მაინც აკლდება მოსათხოვ შვებულების დღეების ოდენობას, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ადგენს შესაძლებლობას, რომ შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შრომის კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვადები და პირობები, მაგრამ აუცილებელია რომ ეს ვადები და პირობები არ აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი

**შვებულების არასრულყოფილი ანაზღაურება** - კომპანიას გააჩნია დასაქმებულთათვის ხელფასის დაანგარიშების თავისი წესი, რაც ხელფასს ქმნის არაფიქსირებულს. თუმცა, ამავდროულად შვებულების ანაზღაურებას ითვლის ფიქსირებული ხელფასის წესით და არა წინა 3 თვის ხელფასთან კორელაციით და მის საფუძველზე. კანონით დადგელია სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, თუ პირის მიერ მუშაობის დაწყების ან ბოლო შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო შრომის ანაზღაურებიდან, ხოლო თუ იგი ყოველთვიურ ფიქსირებულ შრომის ანაზღაურებას იღებს – ბოლო თვის შრომის ანაზღაურების მიხედვით.

საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლი

*დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო შრომის ანაზღაურებიდან, თუ მის მიერ მუშაობის დაწყების ან ბოლო შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო შრომის ანაზღაურებიდან, ხოლო თუ იგი ყოველთვიურ ფიქსირებულ შრომის ანაზღაურებას იღებს – ბოლო თვის შრომის ანაზღაურების მიხედვით.*

**სამუშაოს არასრულყოფილი ანაზღაურება** - ზოგიერთ შემთხვევაში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულების ანაზღაურება არ ხდება ინდივიდუალური ტაბელების მიხედვით ნამუშევარი დროის შესაბამისად.

საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი

**შრომის ანაზღაურების დაგვიანება** - დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი, თუმცა არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა რომ კომპანიას ხელფასის დაგვიანების შემთხვევაში, აღნიშნული წესი  გამოეყენებინოს.

საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი

**იძულებითი მოცდენის ანაზღაურების ბუნდოვანი წესი** - წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არაა ზუსტად გაწერილი დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის ანაზღაურების წესი ან ოდენობა, რისი ხელშეკ-რულებებში ასახვის ვალდებულებაც კანონით პირდაპირაა განსაზღვრული.

საქართველოს შრომის კოდექსის 42-ე მუხლი

**დამსაქმებლისთვის ზიანის ანაზღაურება გადაჭარბებული ოდენობით** - შრომის ინსპექციაში წარდგენილი, და შესა-ბამისად, ჩვენთვის ცნობილი შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულების შეწ-ყვეტის შემთხვევაში 1 თვით ადრე გაფრთხილების ვალ-დებულებას და აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ბოლო ნამუშევარი თვის სრულად გამოქვითვის შესაძლებ-ლობას ან 1 თვის ხელფასის კომპენსაციის გადახდას, რაც წინააღმდეგობაშია კანონის მოთხოვნებთან, ვინაიდან, და-საქმებულის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად დასაქ-ვითი თანხის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

საქართველოს შრომის კოდექსის 43-ე მუხლი

**შრომისუუნარობის დადგენის გაუმართლებელი წესი** - დამსაქმებლის მიერ წარდგენილი შრომითი ხელშეკრულ-ებები განსაზღვრავს დასაქმებულის მხრიდან დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში შესაბამისი ცნობის ერთ კა-ლენდარულ დღეში წარდგენის ვალდებულებას, მაშინ როცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვილის N87/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება აქვს საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან 3 თვის ვადაში.

საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლი მე-4 პუნქტი

*შრომითი ხელშეკრულების შეჩერების პირობებში შრომის ანაზღაურების გაცემის წესი*

სხვა კომპანიების მსგავსად, **შპს-ს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში",** მითითებების გამოსასწორებელად მიეცა ვადა 30 კალენდარული დღე და ასევე, სხვა შემთხვევების ანალოგიურად არც ამ კომპანიას განსაკუთრებული ძალისხმევა არ განუხორციელებია პრობლემების მოსაგ-ვარებლად. ამგვარ დამოკიდებულებას სხვადასხვა მიზეზი აქვს, თუმცა მნიშვნელოვანია გვახ-სოვდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კანონის აღსრულებაში სახელ-მწიფოს იძულების სისტემა ერევა, აუცილებელია კომპანიებს ჰქონდეთ ადეკვატური

სასჯელის მოლოდინი. 600 ლარიანი ჯარიმა, რომელიც რამდენიმეჯერ უკვე ვახსენეთ ამ ანგარიშში, მრავალათასიანი დაღვევებისა და ადამიანების შრომის უპატივცემულობის სანაცვლოდ, ბუნებრივია ვერ გვაძლევს იმ შედეგს, რომელსაც პრობლემების ფუნდამენ-ტური გამოსწორება მოყვება.

**განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დგინდება:**

| | |
|---|---|
| სამუშაო დროის აღრიცხვის ინდივიდუალური ტაბელების მიხედვით დგინდება, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა ისევ მუშაობს გადაბმულად, 7 დღიან პერიოდში უწყვეტი არანაკ-ლებ 24 საათიანი **დასვენების დროის გარეშე.** | საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლი მე-7 პუნქტი |
| დამსაქმებლის მიერ არათუ არ მომხდარა პირველი შემოწმებ-ის ფარგლებში არსებული დანაკლისების ანაზღაურება, არამედ, ასევე ფიქსირდება თავდაპირველი ინსპექტირების შემდგომ პერიოდში ისევ **ზეგანაკვეთური სამუშაოს** განხორ-ციელების ფაქტები, რომელიც არ ანაზღაურებულა სრულად. | საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლი მე-2 პუნქტი |
| დამსაქმებლის მიერ **შვებულების ანაზღაურება** კვლავ ხდება ფიქსირებული ხელფასის წესით, მაშინ, როცა რეალურად თანამშრომლებს აქვთ არაფიქსირებული ხელფასი და უნდა გამოანგარიშდეს ბოლო 3 თვის ანაზღაურებით. | საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლი |

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად, შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშ-ენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში თითოეული დარღვევისთვის დაჯარიმდა **600 ლარის,** ჯამში **1800 ლარის** ოდენობით.

მედიის დახმარებით ასევე ცნობილია, რომ მოცემულ კომპანიას წინა წლებში უფიქსირდება შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტიც, რასაც შედეგად რამდენიმე თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზიანება და ასევე გარდაცვალება მოჰყვა. ,, დაშავდა საქართველოს 3 და ჩინეთის 3 მოქალაქე. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ადგილზე სამძებრო-სამაშველო სამუშაოები გრძელდება. წინასწარი ვერსიით, რკინის კონსტრუქციის ჩამონგრევა დიდთოვლობამ გამოიწვია.''- აცხადებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია რადიო თავისუფლებასთან.[22] მოცემულ საკითხთან დაკავ-შირებით 2021 წლის 22 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში დაიწყეს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს სამუშაო პროცესში უსაფრთხოების წესის დარღვევას, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება. საქმე ასევე გადაიგზავნა სასამართლოში.[23]

[22] იხილეთ, https://www.radiotavisupleba.ge/a/31620887.html
[23] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია.

## შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ (ს/ნ: 404385385) (Constant Department of China Railway 23rd Bureau Group Co)

შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი'' საქართველოს ბაზარზე 2010 წლის 30 ივლისიდან ოპერირებს და მისი საქმიანობის სფეროებია რკინიგზის, გზებისა და ავტობანების მშენებლობა.[24]

- ✓ კომპანიის პროექტებს განეკუთვნება რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი,
- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის მე-4 ლოტის მონაკვეთის მშენებლობა
- ✓ ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის გზის მშენებლობა.[25]

შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის'' შემოწმება 2021 წლის 25 ნოემბერს განხორციელდა, რა დროსაც შრომის ინსპექციამ აღმოაჩინა შემდეგი დარღვევები:

**დისკრიმინაცია** - გარდა იმისა, რომ ჩინეთის ყველა მოქალაქე-დასაქმებულის მიმართ არსებობს ,,კვალიფიციურობის'' დათქმა, განსხვავებით ქართველი დასაქმებულებისგან, ასევე არსებობს რადიკალური სხვაობა მათ ხელფასებს შორის, რომელიც დამსაქმებლის მიერ არ დასაბუთდა. კანონი კი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, რომ დამსაქმებელმა მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

საქართველოს შრომის კოდექსის 23-ე მუხლი მე-4 პუნქტი

**ენობრივი ბარიერი შრომით ურთიერთობებში** - შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია მრავალ ეგზემპლარად ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე, თუმცა არსადაა აღნიშნული რომელს აქვს მათ შორის უპირატესობა. ასევე, სამუშაო ადგილზე შეიმჩნევა ენობრივი ბარიერი, რის გამოც დასაქმებულები ეფექტურად ვერ ახერხებენ საკუთარი სამუშაო საჭიროებების შესახებ მენეჯერებთან საუბარს.

კანონის მოთხოვნებიც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ვიცოდეთ ანბანური ჭეშმარიტება - მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლი

*წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეებისთვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება დადებულია*

[24] იხილეთ, https://www.bia.ge/company/17868
[25] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/5-georgian-entrepreneurs-launch-a-new-app-in-the-uk/72001

| | |
|---|---|
| წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე, აუცილებელია მისი სავალდებულო ძალის მქონე ეგზემპლარი იყოს მხარეებისთვის გასაგებ ენაზე. შესაბამისად, თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება დადებულია რამდენიმე ენაზე, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ შრომით ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა შრომითი ხელშეკ-რულებების დებულებებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში. | *რამდენიმე ენაზე, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ შრომით ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა შრომითი ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში.* |
| **ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ხარვეზები** - წარდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული მუშაობის დაწყების თარიღი და შრო-მითი ურთიერთობის ხანგრძლივობა. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტი |
| **ბუნდოვანი სამუშაო გრაფიკი** - წარდგენილ შრომით ხელშეკ-რულებებში არ არის განსაზღვრული სამუშაო და დასვენების დროები. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტი |
| **დაუდგენელი სამუშაო ადგილი** - წარდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს ჩანაწერს სამუშაო ადგილის შესახებ. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „დ'' ქვეპუნქტი |
| **განუსაზღვრელი სამუშაოს მოცულობა** - წარდგენილი შრომითი ხელშეკრულებ-ები არ მოიცავს ჩანაწერს შესას-რულებელი სამუშაოს სახის და მისი აღწერილობის შესახებ. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ე'' ქვეპუნქტი |
| **ზეგანაკვეთურის ანაზღაურების წესის არ არსებობა** - წარდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ განსაზღვრავს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ზ'' ქვეპუნქტი |
| **შვებულების უფლებასთან დაკავშირებული დარღვევები** - წარდგენილი შრომ-ითი ხელშეკრულებები არ განსაზღვრავს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ოდენ-ობას და მისი გაცემის წესს. | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „თ'' ქვეპუნქტი |

**სამუშაოს შესრულება მოვალეობებს ფარგლებს გარეთ** - წარდგენილი შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულს შეიძლება მოუწიოს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული თანამდებობრივი ინსტრუქციით. ამასთან დაკავშირებით დასაქმებულები აცხადებენ, რომ მათ უწევთ ისეთი საქმის შესრულება, რომელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული მათი სამუშაოს სახესთან.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი

**სამუშაო დროის არასრულყოფილი აღრიცხვა** - კანონის მოთხოვნების საწი-ნააღმდეგოდ, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არ არის სრულყოფილი, არ შეესაბამება ბრძანების მოთხოვნებს და არ მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

**გადაჭარბებული დროით სამუშაოს შესრულება** - დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადების (დასწრების ფურცელი) დამადასტურებელი დოკუმენტებისა შესწავლისა და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლები უწყვეტი 7 დღიანი სამუშაოს პირობებში ვერ სარგებლობენ უწყვეტი არანაკლებ 24 საათიანი დასვენების პერიოდით, რა ვალდებულებასაც პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსი.

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტი

**ზეგანაკვეური სამუშაოს არასრულყოფილი ანაზღაურება** - დოკუმენტაციის (ხელშეკრულებები, ხელფასის გადახდის დამადასტურებელი საბუთები) შესწავლისა და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ თანამშრომლებს უწევთ უქმე დღეებში მუშაობა, რაც კომპანიის მიერ არ ითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და შესაბამისად, ანაზღაურება ხდებოდა სტანდარტული რაოდენობით.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები

*სამუშაოს შესულება დროის იმ მონაკვეთში, რომელიც აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს წარმოადგენს ზეგანაკვეთურ სამუშაოს.*
*ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.*

| | |
|---|---|
| **გამოუყენებელი შვებულების უფლება** - კომპანიაში არ ხდება თანამშრომლების კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების უფლებით უზრუნველყოფა დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. ამასთან, კომპანიის საქმიანობა მიეკუთვნება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოს, შესაბამისად გარკვეულ თანამშრომლებს დამატებით უნდა გააჩნდეთ 10 დღიანი ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის უფლება. | საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი; 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი |
| **შრომისუუნარობის დახმარებასთან დაკავშირებული დარღვევა** - დამსაქმებელმა არ წარადგინდა დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში გადახდილი დახმარების დამამტკიცებელი შესაბამისი ანაზღაურების დოკუმენტაცია. | საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტი<br><br>*შრომითი ხელშეკრულების შეჩერების საფუძველია დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს; ამ დროს დამსაქმებელს აქვს შრომის ანაზღაურების გაცემის ვალდებულება.* |

**განმეორებითი ინსპექციის შედეგად დგინდება, რომ შესრულდა მხოლოდ შემდეგი მითითებები:**

| | |
|---|---|
| დამსაქმებელმა ხელშეკრულებებში მიუთითა სამუშაოს დაწყების დრო და ხანგრძლივობა | საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი |
| დამსაქმებელმა მიიღო შესაბამისი ზომები თანაბარი მოპყრობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, რაც ძირითადად დასაქმებულთა ხელფასებს შორის სხვაობასა და ,,კვალიფიციურობის'' დათქმაში გამოიხატებოდა | საქართველოს შრომის კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი |
| ანაზღაურდა ზეგანაკვეთური სამუშაო | საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები |
| გაიცა ანაზღაურება დროებითი შრომისუუნარობის სრულ პერიოდზე | 46-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტი |

ვინაიდან არ მომხდარა ყველა ტიპის დარღვევის გამოსწორება, განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ დაჯარიმდა **6000 ლარის** ოდენობით.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ კომპანიას წინა წლებში რამდენჯერმე დარღვეული აქვს შრომის უსაფრთხოების ნორმებიც, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.[26] ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე, 2019 წლის 6 ოქტომბერს, ხაშურის რაიონულ სამმართველომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპულატაციის წესის დარღვევას, რასაც შედეგად მოჰყვა გარდაცვალება. მოცემული საქმეც გადაიგზავნა სასამართლოში. [27]

## შპს ,,საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ'' (ს/კ 412712079) (LLC Georgia Shunxiang Wood Processing Company Kutaisi Fiz)

შპს ,,საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ'' საქართველოს ბაზარზე 2015 წლის 09 ოქტომბრიდან ოპერირებს.[28] იგი კომპანია ჰუალინგთან ერთად, 2020 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით ერთ-ერთ უმსხვილეს ჩინურ ინვესტორს წარმოადგენს საქართველოში.[29] მისი ძირითადი საქმიანობა არის ხის გადამუშავება, წარმოება, იმპორტი და ექსპორტი. აღსანიშნავია, რომ შპს საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ 2015 წლიდან ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაშია დარეგისტრირებული, რაც თავის მხრივ კომპანიას ათავისუფლებს მოგების, ქონების, იმპორტის და დღგ-ს გადასახადისგან და შესაბამისად, განსაკუთრებულ სასათბურე პირობებს უქმენის.[30]

აღნიშნული კომპანიის შემოწმება განხორციელდა 2022 წლის 04 მარტს, რა დროსაც შრომის ინსპექციის მიერ აღმოჩენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. ვინაიდან, მდგომარეობა არ იყო კრიტიკული, შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელ კომპანია ქუთაისი თიზს მიეცა გაფრთხილება და დარღვევების გამოსასწორებლად 40 დღე.

---

[26] იხილეთ, http://kvira.ge/505277 ასევე, https://reginfo.ge/people/item/10224-xaragaulshi-rkinigzis-msheneblobaze-musha-daigupa

[27] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია.

[28] იხილეთ მეწარმეთა რეესტრის ამონაწერი: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFASIusTds1RYS0JyF87]poyq08j]o4jaNee5wGLjcvvn

[29] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/umsxvilesi-chinuri-investori-kompaniebi-saqartveloshi/63323

[30] იხილეთ, https://ifact.ge/tiz/

განმეორებითი ინსპექტირება 2022 წლის 28 სექტემბერს განხორციელდა, რა დროსაც კვლავ ფიქსირდებოდა შემდეგი ტიპის დარღვევები:

- სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა,
- მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა,
- ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა.

ზემოხსენებულის საფუძველზე, შპს საქართველოს შუნსიანგის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია ქუთაისი თიზ დაჯარიმდა 14,000 ლარის ოდენობით და მიეცა გამოსასწორებელი ვადა - 15 დღე

## ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია საქართველოს ფილიალი (ს/კ 426539178) (China State Construction Engineering Corporation Limited Georgia Branch);[31]

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქარ-თველოს ფილიალი დარეგისტრირდა და საქართველოს ბაზარზე 2019 წლის 11 ოქტომბრიდან ოპერირებს[32]. სწორედ მას აბარია E-60 მაგისტრალის ჩუმა-თელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობა.[33] ის შრომის ინსპექციამ საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საფუძველზე მრავალჯერ შეამოწმა:

- 2021 წლის 31 იანვარს, რა დროსაც აღმოაჩინეს სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის, ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების, ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა. კომპანიას მიეცა გაფრთხილება და 40 დღე დარღვევების გამოსასწორებლად.
- 2021 წლის 02 თებერვალს შემოწმდა 2021 წლის 31 იანვარს მომხდარი უბედური შემთხვევის საფუძველზე. (დაშავდა დასაქმებული). შრომის ინსპექციამ აღმოაჩინა სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა, რის შედეგადაც მუშაობა სრულად შეჩერდა.
- 2021 წლის 23 თებერვალს კვლავ მოხდა ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია საქართველოს ფილიალის ინსპექტირება, ვინაიდან კომპანიამ

[31] კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კვლევების სანახავად, შეგიძლიათ ეწვიოთ: https://civicidea.ge/en/10th-china-watch-report-cscec-in-georgia/new/

[32] იხილეთ მეწარმეთა რეესტრის ამონაწერი: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNROvNWHW9LCYHuETDxoDSnW5Fwgl5yuW36LBWz0aIpZ

[33] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/34-kompanias-romelic-infrastruqturul-proeqtebs-ashenebs-saqmianobis-ufleba-mieca/53158

არ უზრუნველყო სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანგარიშგება. მან არ შეატყობინა ზედამხედველ ორგანოს 2021 წლის 31 იანვარს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ. შრომის ინსპექციამ მისცა გამოსასწორებელი ვადა - 5 დღე და დააჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

- 2021 წლის 27 მაისს განხორციელდა განმეორებითი ინსპექტირება, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ისევ დარღვეულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმები. ამჯერად შრომის ინსპექციამ მისცა გამოსასწორებელი ვადა - 25 დღე და დააჯარიმა 8000 ლარის ოდენობით.
- 2021 წლის 11 ივნისის ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი შრომის უსაფ-რთხოების ნორმების დარღვევის გამო შრომის ინსპექციამ მისცა მხოლოდ გაფ-რთხილება და გამოსასწორებელი ვადა - 25 დღე.
- 2021 წლის 01 ივლისს კვლავ მოხდა უბედური შემთხვევა. კომპანიამ არ მოახდინა უბედური შემთხვევის ანგარიშგება, რა ვალდებულებასაც პირდაპირ ახსენებს საქარ-თველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ 23-ე მუხლი.

შესაბამისად კომპანია დაჯარიმდა 1000 ლარით და მიეცა გამოსასწორებელი ვადა - 5 დღე.

- 2021 წლის 13 ივლისს ჩატარებული ინსპექტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ დარღვეულია სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების დადგენილება.

შრომის ინსპექციამ კომპანია ზემოხსენებულისთვის დააჯარიმა 1000 ლარით და გამოსასწორებელი ვადად მისცა 14 დღე.

ამასთან ერთად იმავე შემოწმებაზე შრომის ინსპექციამ აღმოაჩინა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების მსუბუქი (არაკრიტიკული) განმეორ-ებითი დარღვევა (წინა მითითებების შეუსრულებლობა), რის შემდეგაც გამოსასწორ-ებელი ვადად დაუწესა 14 დღე და დააჯარიმა 9000 ლარით.

- 2021 წლის 09 აგვისტოს კვლავ ფიქსირდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების მსუბუქი (არაკრიტიკული) განმეორებითი დარღვევა ((წინა მითითებების შეუსრულებლობა).

კომპანია დაჯარიმდა 9000 ლარის ოდენობით და მიეცა გამოსასწორებელი ვადა - 14 დღე.

- 2021 წლის 09 აგვისტო, ისევ დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების მსუბუქი (არაკრიტიკული) განმეორებითი დარღვევა (წინა მითითებების შეუსრულებლობა).

შრომის ინსპექციამ გამოსასწორებელ ვადად დაუწესა - 14 დღე და დააჯარიმა - 7000 ლარი.

- 2021 წლის 28 სექტემბერს ჩატარებულ ინსპექტირებისას აღმოაჩინეს სიმაღლეზე მუშაობის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია კომპანიის დაჯარიმება 1000 ლარით.

ამასთან, შრომის ინსპექციამ გამოსასწორებელი ვადად დაუდგინა 10 დღე.

- 2021 წლის 28 ოქტომბერი-სიმაღლეზე მუშაობის წესების განმეორებითი დარღვევა (წინა მითითებების შეუსრულებლობა)

კომპანია დაჯარიმდა 4000 ლარის ოდენობით და დარღვევების გამოსასწორებლად მიეცა 10 დღე.

- 2022 წლის 13 იანვარს ისევ დარღვეულია სიმაღელზე მუშაობის წესები.

შრომის ინსპექციამ დარღვევების გამოსასწორებლად მისცა 5 დღე და ასევე დააჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

- 2022 წლის 07 დეკემბერი კვლავ არაა დაცული სიმაღლეზე მუშაობის ნორმები.

შრომის ინსპექციამ ამჯერად მხოლოდ გაფრთხილება მისცა და გამოსასწორებელ ვადად დაუდგინა - 14 დღე.

## ,,უსფ ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი'' (ს/კ 205368396) (China Road and Bridge Corporations branch in Georgia);[34]

,,უსფ ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალმა'' საქმიანობა ქართულ ბაზარზე 2019 წლის 19 თებერვლიდან დაიწყო.[35] იგი ძირითადად სატრანსპორტო გზების მშენებლობითაა დაკავებული. ვაზიანი-საგარეჯოს საავტომობილო გზასა და რიკოთის უღელტეხილზე უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობაზე, რომელიც მოიცავს 13 კმ გზის, 27 ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობას, სწორედ ეს კომპანიაა პასუხისმგებელი.[36]

თავდაპირველად აღნიშნული კომპანია შრომის ინსპექციამ შეამოწმა 2021 წლის 11 აგვისტოს, რა დროსაც დადგინდა, რომ დარღვეულია საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით არსებული დამსაქმებლის მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის არ გახლდათ გატარებული პრევენციული ზომები და არ იყო დაცული პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, ევაკუაციის, მომეტებული საფრთხის შემთხვევაში არსებული ნორმები.

დარღვეული იყო სიმაღლეზე მუშაობის წესებიც.

[34] კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კვლევების სანახავად, შეგიძლიათ ეწვიოთ: https://civicidea.ge/en/3306-2/new/

[35] იხილეთ მეწარმეთა შესახებ რეესტრის ამონაწერი: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFOnTuuIrc1sIcuBbOBbc43vG5d5g9vs3p3CAW4fsdxmz

[36] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvt-mtavrobis-kontraqtor-chinur-kompaniebs/122360/

*ზემოხსენებულის შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე კომპანია დაჯარიმდა 4000 ლარით და მიეცა გამოსასწორებელი ვადა - 14 დღე.*

- განმეორებით შემოწმდა 2022 წლის 17 ოქტომბერს, ვინაიდან მოხდა საწარმოო უბედური შემთხვევა, რის შედეგადაც დაშავდნენ დამსაქმებლები. *შემოწმების შედეგად დაჯარიმდა 1000 ლარით და დარღვევების გამოსასწორებლად მიეცა 5 დღე.*
- 2022 წლის 19 ოქტომბრის ინსპექტირებისას დადგინდა დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა. *შრომის ინსპექციამ კომპანიას მისცა მხოლოდ გაფრთხილება და გამოსასწორებელი ვადა - 20 დღე.*
- 2022 წლის 28 ოქტომბრის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ დარღვეულია სიმაღლეზე მუშაობის და ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესები. *კომპანიას მიეცა გაფრთხილება და გამოსასწორებელი ვადა - 20 დღე.*
- 2022 წლის 20 დეკემბერს შრომის ინსპექციამ ისევ შეამოწმა კომპანია და ამჯერად დარღვეული იყო ისევ განმეორებით სიმაღლეზე მუშაობის და ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესები. *შედეგად კომპანია დაჯარიმდა 14 000 ლარით და დარღვევების გამოსასწორებლად მიეცა 10 დღე.*

## ,,უსფ გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო'' (ს/კ 405373750) (Guizhou Highway Enguneering Group Co)

საქართველოს ბაზარზე ,,უსფ გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ"-მა საქმიანობა 2020 წლის 17 იანვარს დაიწყო[37] და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს E-60 მაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობა.[38]

- 2022 წლის 17 აპრილს სიმაღლეზე მუშაობისა და მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ რეგლამენტით გათვალისწინებული წესების დარღვევის გამო ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

ამის გამო 2022 წლის 18 აპრილს შეჩერდა სამუშაო პროცესი.

- 2022 წლის 04 მაისს კვლავ მოხდა განმეორებითი ინსპექტირება და ამჯერად მსუბუქად (არაკრიტიკულად) იყო დარღვეული საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმები.

შესაბამისად კომპანიას მხოლოდ გაფრთხილება მიეცა და გამოსასწორებელი ვადა - 14 დღე.

---

[37] იხილეთ მეწარმეთა შესახებ რეესტრის ამონაწერი: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFGFmZ3wpypOgIUT77Q9kx1e[DFjzRtPXUtoG4NTOs9YU

[38] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/34-kompanias-romelic-infrastruqturul-proeqtebs-ashenebs-saqmianobis-ufleba-mieca/53158

- 2022 წლის 13-14 სექტემბერს არსებული შემოწმებისას დადგინდა, რომ დარღვეულია სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეჩერდა სიმაღლეზე ჩასატარებელი სამუშაო პროცესი. შემდგომ კი უკვე მთლიანად მოხდა სამუშაო პროცესის შეჩერება.

2022 წელი 21 ოქტომბერს შრომის ინსპექციამ აღმოაჩინა, რომ დარღვეულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (რეგლამენტებით) განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმები (მსუბუქად, არაკრიტიკულად).

შესაბამისად კომპანიას ისევ მიეცა მხოლოდ გაფრთხილება და გამოსასწორებელი ვადა - 20 დღე.

ამის შემდგომ ინსპექტირება განხორციელდა უბედური შემთხვევის გამო, რის შედეგადაც ერთ-ერთი დასაქმებული დაშავდა. ,,უსფ გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო''-ს მომხდარის შესახებ არ უცნობებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, როგორც ეს დადგენილია მინისტრით ბრძანებით.

## დასკვნა

სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის მიერ მოწოდებულ მასალებსა და მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩვენი კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს ეჯახება, როდესაც საქმე ჩინეთის კომპანიების შრომით-სამართლებრივ ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს ეხება. იკვეთება, როგორც შრომით ხელშეკრულებებთან, შრომის ანაზღაურებასთან, სამუშაო დროის აღრიცხვასთან დაკავშირებული დარღვევები, ისე შრომის უსაფრთხოების პრობლემები, როგორებიცაა კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობა, ტექნიკური აღჭურვილობის შეუმოწმებლობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არ არსებობა, პირველადი დახმარების გაწევისთვის აუცილებელი ზომების უგულებელყოფა და სხვა. **პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფუნდამენტურ უფლებებთან, ხოლო დარღვევებმა შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს.**

მოცემული კომპანიების აქტივობების შესწავლისას იკვეთება გაფრთხილებების და რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის ტენდენცია. ეფექტური არ აღმოჩნდა სსიპ საქართველო შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან არც მათი დაჯარიმება, არც სამუშაო პროცესის შეჩერება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინსპექციის მიერ ჩინეთთან დაკავშირებული კომპანიების მიმართ დაწესებული ჯარიმათა მოცულობა რადიკალურად მცირეა მათ ყოველწლიურ მოგებასთან ან ბრუნვასთან მიმართებით.[39] რაც თავის მხრივ გარკვეულწილად ხსნის იმას, თუ რატომ ირჩევენ კომპანიები მსგავს პრაქტიკას.

ამასთან აუცილებელია გვახსოვდეს, რომ აღნიშნული კომპანიების პოლიტიკის შედეგად თითოეულ დასაქმებულს სისტემატურად ადგება მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური ზიანი. ასეთ დროს კი ანგარიშში ნახსენები ჯარიმები არ შეიძლება იყოს პროპორციული ზომა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ჩვენი მხრიდან აღნიშნული კვლევის მიზანი გახლდათ შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში ჩინურ კომპანიებთან მიმართებით არსებულ გამოწვევებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დარღვევების აღმოფხვრისა და პრევენციისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების შესახებ დიალოგის წამოწყებას, ან როგორც მინიმუმ უფრო მეტი ადამიანის მზადყოფნას ისაუბროს არსებულ პრობლემებზე და ბედთან შეგუების ნაცვლად, ქმედითად იბრძოლოს საკუთარი უფლებებისთვის.

აუცილებელია გატარდეს ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას არ მისცემს კომპანიებს უგულებელყონ  შრომით-სამართლებრივი ნორმები და ამით კონკრეტული დასაქმებულების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის სტანდარტები.[40]

---

[39] იხილეთ, https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-wminda-mogeba-aqvt-saqartveloshi-mtavrobis-kontraqtor-chinur-kompaniebs/72001, ასევე იხილეთ, https://bm.ge/ka/article/mtavrobis-chinuri-kontraqtori-kompania-12-milionian-mogebazea/116390

[40] იგივე.

## დანართი 1
## ინდივიდუალური ისტორიები

### სს ,,Hualing International Special Economic Zone'' (ს/ნ: 404934381)

1. .ერთ-ერთი დასაქმებულის ფიქსირებული ხელფასი შეადგენს 1125 ლარს. მისი სამუშაო დრო კი განისაზღვრება კვირაში 5 სამუშაო დღით, არაუმეტეს კვირაში 40 საათისა, დღეში 8 საათიანი სამუშაო. ამასთან, დასაქმებული სარგებლობს 1 საათიანი დასვენებით, რომელიც არ ითვლება სამუშაო დროში. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებაში მითითებულია რომ ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის 0.01 პროცენტის ოდენობით. წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტის მიხედვით, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში დასაქმებულს ნამუშევარი აქვს 192 საათი, საიდანაც ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ჯამური ოდენობა არის 32 საათი. თუმცა, როგორც კომპანიის მიერ წარგენილი უწყისით და საგადასახადო დავალებით ირკვევა, მას ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები არათუ გაზრდილი ტარიფით არ აქვს ანაზღაურებული, არამედ ნორმირებულ საათობრივ ანაზღაურებაზე უფრო ნაკლები ოდენობით აქვს დაანგარიშებული და ჩარიცხული, კერძოდ 149.13 ლარით.
2. დასაქმებულს 2021 წლის 1 დეკემბრის შრომითი ხელშეკრულების მიხედვით ანაზღაურება აქვს 875 ლარი. წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტის მიხედვით მას მაისის თვეში ნამუშევარი აქვს უქმე დღეს, 26 მაისს, მაგრამ მაისის თვის ხელფასი დარიცხული აქვს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით - 875 ლარით.
3. დაცვის პოზიციაზე მომუშავე დამსაქმებელს 2022 წლის დეკემბრის თვეში ნამუშევარი აქვს 264 საათი, თუმცა ზეგანაკვეთურად მხოლოდ 16 საათი აქვს ანაზღაურებული.

### შპს ,,კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში'' (ს/კ 404859122);

1. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის შრომის საათობრივი ანაზღაურება შეადგენს 3.196 ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. იმავე ხელშეკრულების თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაოს შრომის საათობრივი ანაზღაურება შეადგენს 4.00 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით და რაც შეეხება უქმე დღეს ნამუშევარ საათებს, დასაქმებულს ანაზღაურება მიეცემა საათობრივი განაკვეთის ორმაგი ოდენობით.

დასაქმებულის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმით დასტურდება, რომ მას ნამუშევარი აქვს 2022 წლის 26 მაისს, უქმე დღეს, სტანდარტული სამუშაო გრაფიკით 09:00-18:00 საათამდე და დამატებით 1 საათი და 30 წუთი. 2022 წლის ივნისის თვის ხელფასის უწყისის მიხედვით (საანგარიშო პერიოდი- 2022 წლის 21 მაისიდან 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით), ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები საანგარიშო თვის ჭრილში შეადგენს 9 საათს და 30 წუთს, რაც დასტურდება სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის მიხედვით.

აღნიშნული საათების სანაცვლოდ გაცემულია ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ზეგანაკვეთური სამუშაოს ტარიფით 1სთ-4 ლარი, ჯამში 37.95 ლარი.

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ დასაქმებულის მიერ უქმე დღეს-2022 წლის 26 მაისს ნამუშევარი დრო (09:00-18:00) არ არის მიჩნეული ზეგანაკვეთურ შრომად და შესაბამისად არ არის ანაზღაურებული. რაც შეეხება 26 მაისს 18:00 სთ-ის შემდგომ ნამუშევარ დროს (1სთ და 30 წთ), აღნიშნული დრო ანაზღაურებულია არა უქმე დღისათვის დადგენილი ტარიფით (საათობრივი განაკვეთის ორმაგი ოდენობით), არამედ სტანდარტულად ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის დადგენილი ტარიფით (საათში-4 ლარი).

**შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში (ს/ნ: 205368029)**

1. კომპანიაში დასაქმებულ რამდენიმე პირს 2022 წლის ივლისის თვეში ნამუშევარი აქვს გადაბმულად 31 დღე.
2. როგორც სამუშაო დროის აღრიცხვის ინდივიდუალური ტაბელებით ირკვევა, 2022 წლის ივნისის თვეში ერთ-ერთ დასაქმებულს ზეგანაკვეთურად ნამუშევარი აქვს 74 საათი, მაგრამ ზეგანაკვეთური ჩარიცხული აქვს 73 საათზე.
3. დასაქმებულს 2022 წლის 21 აპრილს ნამუშევარი აქვს 08:00-დან 21:00 საათამდე, ე.ი 4 საათი ზეგანაკვეთური, თუმცა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების გრაფაში მითითებულია 1 საათი. იმავე თვეში, იმავე პირს უქმე დღეებში ჯამში ნამუშევარი აქვს 33 საათი (9 აპრილი- 08:00-21:00, 22 აპრილი- 08:00-18:00, 23 აპრილი-08:00-21:00), თუმცა უქმე დღეს მუშაობისთვის ზეგანაკვეთური ჩარიცხული აქვს 30 საათზე.
4. 2022 წლის მაისის თვეში დასაქმებულს მოთხოვნილი აქვს 01 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით შვებულება, აღნიშნულ პერიოდში მისი საშვებულებო ანაზღაურება დაან-გარიშდა შემდეგი პრინციპით: დღიური ანაზღაურება გამრავლებული 24 დღეზე (24X39=936), მაშინ როცა დაანგარიშებული უნდა ყოფილიყო ბოლო 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან გამომდინარე.
5. დასაქმებულს 2022 წლის ივლისის თვეში ნამუშევარი აქვს 27 დღე, მაგრამ ხელფასი დაანგარიშებული და ჩარიცხული აქვს 25 დღეზე. მასვე აგვისტოს თვეში ხელფასი აქვს აღებული 19 დღეზე, როცა ტაბელის მიხედვით 19 დღეზე მეტი აქვს ნამუშევარი.
6. ელექტრიკოსის პოზიციაზე მომუშავე პირს 2022 წლის ნოემბრის თვეში გადაბმულად ნამუშევარი აქვს 30 დღე.

**შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ (ს/ნ: 404385385)**

ეროვნებით ჩინელი ექსკავატორის მძღოლის თვის ჭრილში ფიქსირებული ანაზ-ღაურება შეადგენს 5121.95 ლარს, ხოლო ეროვნებით ქართველის შემთხვევაში მათი შრომის დღიური, ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენს 79 ლარს.

## დანართი 2
# ხშირად გამოყენებული მუხლები საქართველოს შრომის კოდექსიდან

### მე-14 მუხლის პირველი პუნქტი

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია:
ა) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ;
ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;
დ) სამუშაო ადგილი და ინფორმაცია დასაქმებულის სხვადასხვა სამუშაო ადგილის შესახებ, თუ მისი მუდმივი ან ძირითადი სამუშაო ადგილი განსაზღვრული არ არის;
ე) თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;
ვ) შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი;
ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;
თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივ-ობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;
ი) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;
კ) კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები – იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულებებით დასაქ-მებულთა შრომის პირობები განსხვავებულად რეგულირდება.

### მე-14 მუხლის მე-11 პუნქტი

დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-ებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.

### 24-ე მუხლის მე-7 პუნქტი

ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული დასვენებით 7-დღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24 საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძ-ლებელია დასაქმებულმა არაუმეტეს 14 დღის განმავლობაში მიმდევრობით ორჯერ ისარგებ-ლოს 24-საათიანი დასვენების დროით.

### 27-ე მუხლის პირველი პუნქტი

ზეგანაკვეთური სამუშაო არის მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის

ხანგრძლივობა სამუ-შაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად – 4 საათს.

**27-ე მუხლის მეორე პუნქტი**

ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.

**31-ე მუხლის პირველი პუნქტი**

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.

**31-ე მუხლის მეორე პუნქტი**

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებისგარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.

**31-ე მუხლის მესამე პუნქტი**

დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება:

ა) მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მუშაობისთვის – წელიწადში 10 კალენდარული დღე;

ბ) საომარი მდგომარეობის ან/და საგანგებო მდგომარეობის, საგანგებო სიტუაციის ღონისძიებ-ებში მონაწილეობისას მათი დასრულების შემდეგ ერთჯერადად – არა-უმეტეს 15 კალენდარული დღისა;

გ) სამშვიდობო ოპერაციაში როტაციის ვადის ამოწურვისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ – 30 კალენდარული დღე.

**31-ე მუხლის მე-4 პუნქტი**

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით[41] გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვადები და პირობები. ეს ვადები და პირობები არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

**36-ე მუხლი**

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო შრომის ანაზღაურებიდან, თუ მის მიერ მუშაობის დაწყების ან ბოლო შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო შრომის ანაზღაურებიდან, ხოლო თუ იგი ყოველთვიურ ფიქსირებულ შრომის ანაზღაურებას იღებს – ბოლო თვის შრომის ანაზღაურების მიხედვით.

**43-ე მუხლის მეორე პუნქტი**

დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად დასაქვითი თანხის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

---

[41] შვებულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით აქამდე ნახსენები წესები.

## წყაროები


- სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოწოდებული ანგარიშები;
- https://www.bia.ge/en/Company/13387
- http://www.hualing.ge/
- https://www.bia.ge/company/6555
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/2197138?publication=0
- https://bm.ge/ka/article/5-georgian-entrepreneurs-launch-a-new-app-in-the-uk/72001
- https://reginfo.ge/people/item/24672-suramshi-avtomagistralis-msheneblobaze-33-xlis-musha-daigupa
- https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFFXkwKzksG[RUwQJIXsXB6pvHMxB3kXPAQ62BcPaKH3u
- https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen--gancxadeba/65887/
- http://topnews.com.ge/news/18882
- https://www.radiotavisupleba.ge/a/31620887.html
- https://www.bia.ge/company/17868
- https://bm.ge/ka/article/5-georgian-entrepreneurs-launch-a-new-app-in-the-uk/72001
- http://kvira.ge/505277
- https://reginfo.ge/people/item/10224-xaragaulshi-rkinigzis-msheneblobaze-musha-daigupa
- https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFASIusTds1RYS0JyF87]poyq08j]o4jaNee5wGLjcvvn
- https://bm.ge/ka/article/umsxvilesi-chinuri-investori-kompaniebi-saqartveloshi/63323
- https://ifact.ge/tiz/
- https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFNROvNWHW9LCYHuETDxoDSnW5Fwgl5yuW36LBWz0aIpZ
- https://bm.ge/ka/article/34-kompanias-romelic-infrastruqturul-proeqtebs-ashenebs-saqmianobis-ufleba-mieca/53158
- https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFOnTuuIrc1sIcuBbOBbc43vG5d5g9vs3p3CAW4fsdxmz
- https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvt-mtavrobis-kontraqtor-chinur-kompaniebs/122360/
- https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFGFmZ3wpypOgIUT77Q9kx1e[DFjzRtPXUtoG4NTOs9YU
- https://bm.ge/ka/article/34-kompanias-romelic-infrastruqturul-proeqtebs-ashenebs-saqmianobis-ufleba-mieca/53158

- https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-wminda-mogeba-aqvt-saqartveloshi-mtavrobis-kontraqtor-chinur-kompaniebs/72001
- https://bm.ge/ka/article/mtavrobis-chinuri-kontraqtori-kompania-12-milionian-mogebazea/116390
- https://www.africanews.com/2023/07/06/chinese-mining-companies-accused-of-human-rights-violations-ngos/
- https://www.fidh.org/en/issues/business-human-rights-environment/business-and-human-rights/violations-chinese-business-latin-america-report
- https://edition.cnn.com/2020/07/21/business/us-sanctions-china-companies-xinjiang-intl-hnk/index.html
- https://www.washingtonpost.com/world/asia_pacific/china-labor-belt-road-covid/2021/04/30/f110e8de-9cd4-11eb-b2f5-7d2f0182750d_story.html
- https://commons.stmarytx.edu/thescholar/vol11/iss2/2/
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია
- გზების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია

*ავტორები:*

**ქეთევან გელაშვილი**
**გვანცა ესაკია**

*მადლობა შრომის ინპექციას, რომელიც ბევრი სხვა სახელმწიფო დაწესებულებისგან განსხვავებით თანამშრომლობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის მაღალ სტანდარტს იყენებს, რაც ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია.*